# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010124186521413

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№21232 22 / თებერვალი / 2013 წ.

საქ .მთავრობის კანცელარია
შალვა თადუმაძე

ბატონო შალვა,

თქვენი 2013 წლის 15 თებერვლის #5385 წერილის პასუხად გიგზავნით იუსტიციის სამინისტროს მოსაზრებებს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციებზე „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის" საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

*დანართი: 3 გვერდი*

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე

6693
25 02 3
4

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოსაზრებები

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციებზე
ღია მმართველობის პარტნიორობის
საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით

*დოკუმენტში მოცემულია იუსტიციის სამინისტროს მოსაზრებები არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმას ეხება. რეკომენდატორ ორგანიზაციათა უმრავლესობა თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროსთან ღია მმართველობის პარტნიორობის არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის ფარგლებში. ამასთან, იუსტიციის სამინისტრო ჩართული იყო თავად რეკომენდაციების შემუშავების პროცესშიც.*

**ღია მმართველობის პარტნიორობის ინსტიტუციური ჩარჩო**

იუსტიციის სამინისტრო იზიარებს არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციებს საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის აპარატის მეტი ჩართულობის შესახებ ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაში. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ პარტნიორობის კოორდინაცია უნდა დარჩეს საქართველოს უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს ფუნქციებში; იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის, როგორც საბჭოს სამდივნოს, მხარდაჭერით.

ასეთ მიდგომას აქვს რამდენიმე უპირატესობა:

- **წარმომადგენლობითობა და კოორდინაცია**

ანტიკორუფციული საბჭო შედგება 34 წევრისგან. მის შემადგენლობაში არიან აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები; ბიზნესის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციათა საქართველოს წარმომადგენლობების ხელმძღვანელები. ამჟამად მზადდება ცვლილება, რომლის თანახმადაც საბჭოს შეუერთდება პრემიერ-მინისტრის მრჩეველი. საბჭო იკრიბება სამ თვეში ერთხელ. საბჭოს ანალიტიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს მისი სამდივნო - იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი. სამდივნო, ასევე, მუშაობს პარტნიორობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაზე.

**საბჭოს შემადგენლობის წარმომადგენლობითობა უზრუნველყოფს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოთა შორის დისკუსიის შესაძლებლობას და იმპლემენტაციის თანმიმდევრულ კოორდინაციას.**

- გარე ჩართულობა და დიალოგი

ღია მმართველობის პარტნიორობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია თანამშრომლობა სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებს შორის. მნიშვნელოვანია ბიზნესთან თანამშრომლობაც. საბჭო უზრუნველყოფს პირდაპირ დიალოგს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო დაწესებულებებს შორის; შესაძლებელს ხდის ბიზნესის წარმომადგენელთა მონაწილეობას გეგმის იმპლემენტაციაში.

- საკითხთა თანხვედრა

ღია მმართველობის პარტნიორობისა და საქართველოს შესაბამისი სამოქმედო გეგმის ქვაკუთხედია კორუფციის პრევენციის ღონისძიებები: მოქალაქეთა ჩართულობა, სახელმწიფო ფინანსებისა და საჯარო ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა.

კორუფციის პრევენციის პოლიტიკის შემუშავება და გატარება სწორედ ანტიკორუფციული საბჭოს ფუნქციაა, რომელიც გამყარებულია საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" (მუხლი 12[1]) და საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 დეკემბრის ბრძანებულებით ანტიკორუფციული საბჭოს შემადგენლობისა და დებულების შესახებ. საქართველოს ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესაბამისად (საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულება, #735), საბჭო, ასევე, მუშაობს გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე, რადგან ეს მიმართულებები კორუფციის პრევენციის განუყოფელი კომპონენტია.

ღია მმართველობის პარტნიორობისა და ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული საკითხები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. შესაბამისად, მიზანშეწონილია ამ საკითხებზე მუშაობა და კოორდინაცია ერთიანი ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში.

## რეკომენდაციების შინაარსი

იუსტიციის სამინისტრო მეტწილად ეთანხმება წარმოდგენილი რეკომენდაციების შინაარსს და, მათ ავტორთა მსგავსად, საჭიროდ მიიჩნევს შემოთავაზებულ ღონისძიებათა გატარებას. მზად ვართ, განვიხილოთ რეკომენდაციებში მოცემული საკითხები რეკომენდატორ ორგანიზაციებთან, საქართველოს მთავრობასა და ფართო საზოგადოებასთან.

ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ რამდენიმე რეკომენდაციაზე მუშაობა უკვე დაწყებულია: მაგალითად, რეკომენდაციები პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის შემუშავებასა და მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტური მექანიზმების შემუშავების შესახებ. რეკომენდაციათა ნაწილი უკვე გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით: მაგალითად, საჯარო მოხელეთა საშემოსავლო დეკლარაციების მონიტორინგი.

## კონსულტაციები პასუხისმგებელ საჯარო უწყებებთან

მთავრობის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროდ მიგვაჩნია კონსულტაციები იმ უწყებებთან, რომელთა კომპეტენციას განეკუთვნება რეკომენდაციებში აღნიშნული თემები. ესენია:

- საჯარო სამსახური ბიურო,
- კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო,
- ფინანსთა სამინისტრო,
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო,
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

## საქართველოს ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 14 სექტემბრის #735 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა და ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა სხვადასხვა დოკუმენტია.

ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო ამჟამად მუშაობს ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის განახლებაზე.

## სამომავლო ნაბიჯები

საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართება 2013 წლის მარტის ბოლოს. გთავაზობთ, რეკომენდაციების ავტორებთან ერთად განვიხილოთ რეკომენდაციები ამ სხდომაზე .